რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 14 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 10 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 10

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთებზე

### „ბრძოლა", „კავკაზსკი რაბოჩი" და „ზნამია ტრუდა"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

---

### ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ამხანაგებო! უკიდურესი ფინანსიური საჭიროების გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულათ გაიღონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოფ აკოპიანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.)

---

### შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები ძალა-უფლებას?

პროლეტარიატი აღარ აყენებს ამ კითხვას. მან ასჯერ გაზომა და ერთხელ გადასჭრა. დღეს ის თვით არის მპყრობელი ამ ძალა-უფლების და რამდენადაც ობიექტიური მდგომარეობა და ისტორიული პირობები ხელს უწყობს, ის მთელი ენერგიით ცდილობს გამოიყენოს იგი თავის განსათავისუფლებლათ. ეს კითხვა მისთვის თეორიის საზღვრებს გასცილდა, ის სავსებით გადავიდა პრაქტიკულ სფეროში და აქედან ის ცხოველი მაგალითებით, აშკარა ფაქტებით და თვალსაჩინო მოვლენებით უმტკიცებს ამ ძალა-უფლების ძლევა მოსილებას ყველა იმ ჯგუფებს და წრეებს, რომლებსაც ახლა მტრული და უკეთეს შემთხვევაში ნეიტრალური პოზიციები უკავიათ, მაგრამ რომლებსაც ობიექტიურათ შეუძლიათ გაჰყვენ პროლეტარიატს მის თავ-განწირულ ბრძოლაში.

წვრილ ბურჟუაზიული სულმოკლეობა ვერ ურიგდება ხანგრძლივ ლოდინს, მას უნდა დღესვე დაიბეჯითოს, რით გათავდება ეს ბრძოლა; კიდევ მეტი: მას უნდა ცხადათ დაინახოს ერთი მხარე გამარჯვებული და მეორე კი გასრესილ დამარცხებული და მხოლოთ მაშინ გადასდგამს გადამჭრელ ნაბიჯს. დღეს კი ის ხედავს, რომ პროლეტარიატი მეტათ მძიმე პირობებში იმყოფება, ის ირგვლივ მტრებით არის გარშემორტყმული და ასეთ პირობებში მას უდიდესი საკითხები უდგას წინ გადასაჭრელათ. სახიფათოა ეს გზა და მას რყევის და წაჯიქ-უკუჯიქობის ხალხი პირივით უფრთხის.

ვინ იტყვის, რომ პროლეტარიატის მდგომარეობა მძიმე არ იყოს, მაგრამ უკეთესი მდგომარეობა არა თუ პრაქტიკულათ, თეორიული მოსაზრებითაც არ არის წარმოსადგენი. ცხოვრებამ დაამხო კოალიციის პრინციპი, მან მოსპო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და ულმობელი აუცილებლობით წამოაყენა დილემა: ან ბურჟუაზია ან პროლეტარიატი, ან ხალხის თვით მპყრობელობა ან ბურჟუაზიის. დღეს ამ ორ კლასში თუ პროლეტარიატი უარყოფს ბურჟუაზიას, ებრძვის და მარცხებს მას, არც ბურჟუაზია ესწრაფვის პროლეტარიატთან თანამშრომლობას, ისიც უარყოფს კოალიციას და თავისი დიქტატურის განსამტკიცებლათ გაშმაგებით ებრძვის პროლეტარიატს. თეორეტიულათ შეთანხმების პარტიებიც ვერ ბედავენ დაიცვან კოალიციის პრინციპი, სიტყვით ისინიც უარყოფენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას, ისინიც მოითხოვენ ერთგვარი სოციალისტური მთავრობის შედგენას უბურჟუაზიოთ. სხვა კითხვაა, თუ რა იმალება ნამდვილათ ამ პარტიების ლოზუნგის ქვეშ. ფაქტია, რომ ლოღიკურათ წარმოუდგენელია დღევანდელ პირობებში ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა.

აშკარაა, რევოლიუციის განვითარებამ წამოაყენა ეს საკითხი და პრაქტიკულათაც განახორციელა იგი. ისტორიულმა აუცილებლობამ პროლეტარიატს მისცა მართვა-გამგეობის სადავე ხელთ და დააკისრა მას ქვეყნის გადარჩენა კარზე მომდგარი დ ლუპვისაგან. სხვა გზა არ არსებობს, რადგან ბურჟუაზიის გამარჯვება ქვეყნის განადგურებას ნიშნავს.

ბოლშევიკები შეგნებულათ გამოხატავენ შეუგნებელ პროცესს და აქტიური ჩარევით ხელს უწყობენ, რომ რაც შეიძლება ნაკლები ტკივილებით იქნას იგი გადატანილი.

მაგრამ ბოლშევიკებს აუცილებელი დამარცხება მოელის, რადგან ისინი ვერ დააკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნილებას. რომელიც ყველაფერს თხოულობს და ის ზურგს შეაქცევს მათ და გაჰყვება აშკარა რეაქციონერებს. ასე ლაპარაკობენ ყოველ გზა ჯვარედინზე ჩვენი მოწინააღმდეგეები და რევოლიუციონური სათნოებით აღვსილნი რევოლიუციის ბედს დასტირიან.

ამის მთქმელნი გამოდიან იმ ფაქტიდან, რომ ხალხმა რამდენჯერმე შეაქცია ზურგი, ვისაც წინათ ნდობით ეპყრობოდა, და ეს იმიტომ, რომ მას ვერ გაუმართლეს ეს ნდობა. აქედან გამოყავთ შედარება, რომელსაც უფარდებენ ბოლშევიკებს. მაგრამ შედარება საბუთი არ არის. თუ ბოლშევიკები და მათი ხელმძღვანელობით ამდგარი ხალხი ვერ გადასჭრის ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებებს, მათ ვერავინ ველარ გადასჭრის. პირველ რიგში წარმომდგარ ხალხის ინტერესებს წინ ეღობება მხოლოთ ბურჟუაზია, რომელსაც სასტიკი ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ბოლშევიკები არაფერს არ დაზოგავს, არაფერს არ დაინდობენ, რომ ხალხის მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილდეს და თუ აქ მათ წინ აღემართება ბუნებრივი ზღუდე, ამას ანგარიშს გაუწევს თვითონ ხალხიც, რადგან მისი გადალახვა არა ძალას არ შეეძლება. ავიღოთ მაგალითათ პური. ყოველგვარი სპეკულიაცია სასტიკათ იქნება ჩაკლული. მთელი რაოდენობა პურისა თანასწორათ იქნება განაწილებული მცხოვრებთა შორის, მაგრამ თუ შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომ პური მაინც არ იკმარებს ომით გამოწვეული ეკონომიური არეულ-დარევის გამო, ხალხი დაინახავს ბოლშევიკების გარეშე არსებულ ნამდვილ მიზეზს, და თვით მოახერხებს უწამლოს თავს, თუ საჭირო იქნა, უდრტვინველათ გადავა პურის ნაცვლათ სუროგატებით კვებაზე და არავის არ გააბრიყვებინებს თავს დემაგოგიური ლოზუნგებით. ბოლშევიკები ზღაპრებით და ძილის პირებით არ შეიყოლიებენ ხალხს, ყველაფერს შესაძლებელს თვით ხალხის ხელით გააკეთებენ და თუ მაინც იქნება გაჭირება, ხალხი ადვილათ მიხვდება, რომ ამის ბრალი არ ედება ბოლშევიკებს, რომლებიც არავის ხათრით და რიდით არ მოქმედებენ, არავის უპირატესობას არ იცავენ და მთელი ძალღონით ემსახურებიან მხოლოთ მშრომელ ხალხს ყველა გაბატონებული კლასების წინააღმდეგ.

შესძლებს თუ არა პროლეტარიატი ასე მომზადებულათ, შეგნებულათ და მომწიფებულათ გადაიტანოს ყოველგვარი საფრთხე, რომელიც მას საბოლოვო გამარჯვებამდე მრავლათ აღემართება წინ? ამის პასუხს უკვე იძლევა რუსეთის სინამდვილე. პროლეტარიატს ეს მესამე თვეა შეუდრეკელათ გადააქვს ყველა ის გაშმაგებული იერიშები, რომელიც მის წინააღმდეგ მოაქვს ბურჟუაზიულ რუსეთს. ის თვით გადადის თავდასხმაზე და ძირშივე კლავს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ საფრთხეს. ის უკვე დარაზმულია რუსეთის უდიდეს სამრეწველო ქალაქებში და თანაგრძნობას პოულობს მიყრუებულ და მივარდნილ კუთხეებშიაც.

ბურჟუაზიამ ვერავითარი საგრძნობი ძალა ვერ წამოაყენა პროლეტარიატის წინააღმდეგ. ერთად ერთ რეალურ რაოდენობას ამ მხრით წარმოადგენს მხოლოთ ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა, მაგრამ ამისი დღეები დათვლილია. იქაც შეიჭრა რუსეთის რევოლიუციის ცეცხლი, რომელიც მშრომელ კაზაკობას პროლეტარიატის მხარეს რაზმავს და მის გამარჯვებას უზრუნველყოფს.

მაგრამ ეს არის, ასე ვთქვათ, საგნის სუბიექტიური მხარე. რევოლიუციის სუბიექტი—პროლეტარიატი მხოლოთ, იმ შემთხვევაში შესძლებს გაანხორციელოს თავისი მიზნები, თუ ობიექტიური პირო-

ბები მას ხელს არ უშლიან და პირიქით ხელს უწყობენ. დამაბრკოლებელი მიზეზები ისეთი ხასიათის არ უნდა იყოს, რომ მათი დაძლევა არ შეიძლებოდეს. მტრების ძალა ისე ძლიერი არ უნდა იყოს, რომ მასთან ბრძოლამ შეიწიროს პროლეტარიატის მთელი ენერგია და შემოქმედებით მუშაობაზე მას ხელი აალებინოს. არა კმარა მარტო ბრძოლა, საჭიროა შემოქმედება.

როგორ არის ამ მხრივ საქმე? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

---

## რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია *).

ოქტომბრის რევოლიუციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გულში კოალიციურ-ობორონცულ პოლიტიკა—ტაქტიკას, რევოლიუციონურ კლასების და პარტიების კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და თანამშრომლობას.

ოქტომბრის რევოლიუციამ ჩამოაყალიბა, ნათელ და აშკარა ჰყო კლასიური მისწრაფება და სულისკვეთება სხვა და სხვა პარტიების და კლასების, რომლებიც მანამდე ერთ ბლოკს, ერთ შეკავშირებულ მთელს (შესახედავათ მაინც) წარმოადგენდენ და სრულ სოციალური გარმონიის და ინტერესთა სრული სოლიდარობის ილიუზიას ქმნიდენ.

ოქტომბრის რევოლიუციამ გაალმასა, ზედმიწევნით გაამწვავა და გაატიტვლა კლასთა შორის დამოკიდებულება, კლასიური ანტაგონიზმი (შეურიგებლობა, სიძულვილი), კლასიური ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, ე. წ. სამოქალაქო ომი.

ოქტომბრის რევოლიუციამ საბოლოოთ დააშორა, გათიშა კლასი კლასისაგან, დაუპირდაპირა კლასი კლასს, ლაშქარი ლაშქარს, ბანაკი ბანაკს, ბარიკადა ბარიკადას.

კონტრ-რევოლიუციონური დროშის ქვეშ კადეტების მეთაურობით შემოკრება, მჭიდროთ, განუყრელათ შეკავშირდა ორი უდიდესი კლასი, ბურჟუაზია და მიწათმფლობელები.

კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს მიეკედლენ, ზოგი შეგნებულათ, ზოგი შეუგნებლათ წვრილ-ბურჟუაზიული, მეშჩანური, ობივატელური ჯგუფები და ელემენტები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ინსტიქტიურათ თუ შეგნებულათ დაინტერესებული არიან ბურჟუაზიული წყობილების, კერძო საკუთრების ინსტიტუტის (დაწესებულების) შენახვა-განმტკიცებაში.

კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს მიემხრო ბურჟუაზიული ინტელიგენცია (ე. წ. თავისუფალ პროფესიის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლე ახალგაზდობა და სხ.), რომელიც წინეთ პირდაპირ თუ არა-პირდაპირ მხარს უჭერდა, მონაწილეობას ღებულობდა რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბურჟუაზიული ინტელიგენციის საარსებო წყაროს შეადგენს დაქირავებული შრომა, როგორც ბურჟუაზიის ნოქრების, რომლებიც დაინტერესებული არიან თავის ხაზეინის დიდ მოგებაში, წარმატებაში. ის იკვებება ბურჟუაზიის ნასუფრალით. იგი გაჟღენთილია ბურჟუაზიული ჩვეულება—ტრადიციებით. მას საშინლათ აშინებს სოციალიზმის წითელი არჩდილი.

კონტრრევოლიუციონურ ბანაკს მხარს უჭერენ: მთელი ხროვა ძველი და ახალი, სამოქალაქო და სამხედრო ჩინოვნიკები, ბიუროკრატები, ადმინისტრატორები, პოლიციელები, ჟანდარმები და ყოველი ჯურის ნაძირალები, მუქთახორები, პარაზიტები, ხულიგნები, ლოთები, შარლატან-შანტაჟისტები, აფერისტ-გეშეფტმახერები და სხ. და სხ. რომლებიც სოციალისტურ სახელმწიფოში ზედმეტი ბარგი გახდებიან.

ოქტომბრის რევოლიუციის დროშის ქვეშ შემოკრბა მშრომელი და გაყვლეფილი კლასების დიდი უმეტესობა. ოქტომბრის რევოლიუციის მიერ წარმოშობილ მთავრობას, სახალხო კომისარების საბჭოს ზურგს უმაგრებს ორი უდიდესი კლასი: პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა. ოქტომბრის რევოლიუციონურ ბანაკს მეთაურობს პროლეტარიატი და მისი პარტია ბალშევიკები. პროლეტარიატი და გლეხობა, დარაზმულნი და შეკავშირებულნი მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და მათ ცენტრებში (სიეზდები და ცენ. აღმ. კომიტეტი), შეადგენენ სოციალურ ბაზას (საფუძველს), ერთათ ერთ მამოძრავებელ ძალას ახალი, ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციისას.

რევოლიუციონურ ბანაკს მხარს უჭერენ ყველა ტვირთ-მძიმენი და მაშვრალნი, ყველა ის, ვინც მტერია მონობის, ყვლეფის, ჩაგვრის, ცარცვა-გლეჯის, დამორჩილების, ტანჯვა-წვალების და ყოველგვარი უსამართლობის.

რევოლიუციონურ ბანაკს მხარს უჭერს ყველა, ვისაც სულით და გულით სწყურია განხორციელდეს ამ ქვეყნიური სამოთხე (იმ ქვეყნიური კი ტირანებისა და მათი სულიერი დამქაშებისათვის დაგვილოცნია), დამყარდეს შრომის რესპუბლიკა, ნამდვილი ძმობა, ერთობა, თავისუფლება, თანასწორობა.

ოქტომბრის რევოლიუცია არის მშრომელთა და გაყვლეფილთა რევოლიუცია, მიმართული გამყვლეფელთა მუქთა ხორათა წინააღმდეგ.

ოქტომბრის რევოლიუცია არის უაღრესათ დემოკრატიული რევოლიუცია, ვინაიდან მას მხარს უჭერს რუსეთის ხალხის, დემოკრატიის, მცხოვრებლების უდიდესი ნაწილი

ოქტომბრის რევოლიუცია არის რევოლიუცია უაღრესათ კლასიური, რომელმაც აანთო სამოქალაქო ომის ცეცხლი და სამკვდრო სასიცოცხლოთ შეატაკა ერთმანეთს ორი უძლიერესი კლასი თანამედროვე საზოგადოებისა: ბურჟუაზია და პროლეტარიატი,

ოქტომბრის რევოლიუცია არის პირველი ძლევა-მოსილი რევოლიუცია კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც წარმოადგენს ბრძოლას დიდ უმრავლესობისას უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც იცავს დიდი უმრავლესობის ინტერესს უმცირესობის წინააღმდეგ.

ორივე ბანაკს ყავს მოკავშირეები გარეთაც: კონტრ რევოლიუციონურს—საერთაშორისო იმპერიალიზმი, რევოლიუციონურს — პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

კონტრ-რევოლიუციის მოკავშირე დღეს უფრო ძლიერია, ვინაიდან სახელმწიფოს სათავეში ყოველგან იმპერიალისტები უდგანან. მეორე ბანაკის მოკავშირე — საერთაშორისო პროლეტარიატი—ჯერ-ჯერობით უფრო სუსტია, მარა მისი ძალა და გავლენა დღითიდღე იზრდება, და მდევის ნაბიჯებით ახლოვდება ის დიადი წამი, როცა სოციალისტური რევოლიუცია იქაც იფეთქებს.

რევოლიუციონური ბანაკის ბრძოლის საშვალებას შეადგენს: კლასობრივი შეგნების გაძლიერება, დარაზმვა და იარაღით ხელში აღებული პოზიციების გამაგრება, თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა, ბრძოლის ველის გაფართოება.

კონტრ-რევოლიუციის იარაღია: მოსხრეების ფულით მოსყიდვა, შეთქმულობა, პროვოკაცია, ღალატი, ვერაგობა, ინსინუაცია, საბოტაჟი (ხელის შეშლა, გაფიცვა) ცბიერება, ფარისევლობა და სხ. ერთი სიტყვით, ის არ ზოგავს არავითარ საშუალებას მტრის დასამარცხებლათ.

რევოლიუციონურ ბანაკის თვითეული წევრი იბრძვის რწმენით, გმირულათ, თავგანწირულათ ბრწყინვალე მომავლისათვის, დიადი საკაცობრიო იდეალებისათვის, იგი გატაცებული, გამსჭვალულია ენტუზიაზმით.

კონტრრევოლიუციონერი იბრძვის პირადი, სადღეისო ინტერესებისათვის, იბრძვის ძალდატანებით, ის იცავს წარსულს, ის ცდილობს თავის საკუთარი ბედნიერება სხვების უბედურებაზე ააგოს, შავია მისი მიზნები, ბინძურია მისი ბრძოლის საშვალებები.

როგორია ძალთა განწყობილება და მომავლის იმედები?

ოქტომბრის გადატრიალებამ ერთის დაკვრით გადააყირავა კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, რომელმაც მალე მოაგროვა კონტრრევოლიუციონური ლაშქარი და კიდევ სცადა ბედი, მარა სასტიკათ დამარცხებულმა და შერცხვენილმა უკან დაიხია, გაიქცა და სადღაც მიიმალა. რევოლიუცია გამაგრდა უდიდეს ცენტრში, წითელ პეტროგრადში და იქიდან მოედვა მეორე უდიდეს ცენტრს—წითელ მოსკოვს, სადაც ერთი კვირის ქუჩაში ხელჩართულ, ბარიკადებზე ბრძოლის შემდეგ საბოლოოთ გაიმარჯვა. ამ ორ უდიდეს და ურევოლიუციონერეს ცენტრიდან რევოლიუცია გაგრძელდა ცენტრალურ სამრეწველო რაიონებში. მალე ოქტომბრის რევოლიუციას მხარი დაუჭირეს თითქმის ყოველგან, სადაც არსებობენ მუშ. სალ. და გლეხთა (უფრო გვიან) საბჭოები. რევოლიუციას მხარს უჭერს ულარიბესი და რევოლიუციონური ნაწილი გლეხობის, რომელიც დარაზმულია საბჭოებში ეს ეხლა შეურყეველი ფაქტია.

ამ ნაირათ, რევოლიუციას მხარს უჭერს მშრომელი და გაყვლეფილი რუსეთის დიდი უმეტესობა. ძალა და გავლენა რევოლიუციის და ხალხური მთავრობის დღითი დღე იზრდება, როგორც შინ, ისე გარეთ.

კონტრრევოლიუცია გამაგრებული წვრილ ბურჟუაზიულ და ჩამორჩენილ რაიონებში და ზოგიერთ ნაციონალურ (წვრილ-ბურჟუაზიულ) ერთეულებში, იქ, სადაც საბჭოები ნაკლებათ მოიპოვებიან, მაგ. კალედინ-კორნილოვების სამეფო—დონის ოლქში და ჩრდილო-კავკასიაში, დუტოვები—ურალზე, ციმბირის ზოგიერთ ალაგას, ამიერკავკასიის მენშევიკურ-ობორონცულ ნაციონალისტურ რაიონებში, უკრაინის ბურჟ. რადა და სხ.

უდიდესი საშიშროება რევოლიუციას მოელის კალედინ-კორნილოვების სამეფოებიდან, ვინაიდან ეს რაიონები მდიდარია პურით, ქვანახშირით და სხ. საგნებით, რომლებიც აუცილებლათ საჭიროა ჩრდილო რუსეთისათვის, სადაც რევოლიუცია ყველაზე უფრო გამაგრებულია. კონტრრევოლიუცია ხმარობს უკანასკნელ საშვალებას: იგი ცდილობს შიმშილით დაიმორჩილოს რუსეთი.

მარა ტყუილი იმედია. სახალხო მთავრობა რევოლიუციონურ საბჭოებთან ერთათ რევოლიუციონურ ჯარის, მატროსების და წითელგვარდიელების შემწეობით კონტრრევოლიუციის ამ ფრონტების მალე გალევასაც შესძლებს და მით უზრუნველ ჰყოფს რევოლიუციის გამარჯვებას.

ჩვენი, ამიერ-კავკასიელი საქმით რევოლიუციონური ორგანიზაციების ვალია: ხელი შეუწყონ, დაეხმარონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ კავკასიის ფრონტიდან მიმავალ რევოლიუციონურ ჯარს ჩრდილო კავკასიაში დაბუდებულ კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ. ეს უნდა შევსძლოთ ჩვენ, მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი ობორონცები მენშევიკების მეთაურობით ყოველ საშვალებას ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ (იარაღის ძალათ აყრა და სხ.) რევოლიუციონურ ჯარს წმინდესი რევოლიუციონური მოვალეობის შესრულებაში.

ძველი, დრო მოჭმული, ტირანიაზე აგებული ბურჟუაზიული წყობილება იშლება, კვდება. მის ნანგრევებზე შენდება, იფურჩქნება ახალი, სოციალისტური, სამართლიანობასა და თანასწორობაზე აგებული.

თედორე.

---

*) იხ. „ბრძოლის“ № 9.

---

## რუსეთის ქრონიკა.

### როგორ უნდა მოეწყოს მთავრობა ადგილობრივათ.

შინაგან საქმეთა კომისარმა (პეტროვსკიმ) მოწოდებით მიმართა რუსეთის ყველა მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოებს, რომ ადგილობრივი მართვა-გამგეობა მოაწყონ შემდეგ ნაირათ: არსებული ორგანოები ადგილობრივი მართვა-გამგეობისა: საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო კამისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომიტეტები, „სოფლის საზოგადოების“ სამართველოები და სხვა ამგვარები უნდა შე ცვალონ საოლქო, სამაზრო, სარაიონო და სასოფლო საბჭოებით მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატებისა. მთელი სახელმწიფო, მთელი მხარე ასეთი საბჭოების ქსელით უნდა მოიფინოს, რომელთა შორის მჭიდრო საურთიერთო ორგანიზაციული კავშირი იქნება გაბმული. ყველა ეს ორგანიზაციები, თვით უმცირესიც კი, მაგალითათ სასოფლო ანუ საუბნო, სავსებით სარგებლობს ავტონომიური უფლებით ადგილობრივი ხასიათის საკითხებში; მაგრამ იმავე დროს თავის მოქმედებას უფარდებენ და უთანხმებენ ცენტრალურ მთავრობას და უფრო მსხვილ ორგანიზაციებს, რომლებშიაც თვითონ ისინი შედიან.

ამ გზით დგება ძლიერი ორგანიზმი, საბჭოთა რესპუბლიკა; და ასეთი საორგანიზაციო სისტემა კომისარების ზევიდან დანიშვნის საჭიროებას თავისთავათ სპობს. თუ ასეთი საჭიროება კიდევ არის, ეს მხოლოთ დროებითია, როგორც გარდამავალი ფორმა, და ეს მანამდეა საჭირო, ვიდრე ადგილობრივათ ჯერ კიდევ არ შეუდგენიათ შესაფერი ორგანიზაცია, ანდა არ უცვნიათ საბჭოთა მთელი ძალაუფლება.

დღეს, როცა თვითმართველობის ორგანოთ ხდება საბჭო, ცხადია, საადმინისტრაციო ცენტრებიც იქეთკენ გადავა, სადაც ასეთი საბჭოების მოქმედება უფრო ცხოველმყოფელია და ძლიერი, ე. ი. ისეთ ქალაქებში, სადაც სამრეწველო ცხოვრება უფრო გაცხოველებულ—განვითარებულია.

მხოლოთ ამ პირობით შეიძლება გადარჩენ ისინი სალ-კლდეებაზე, რომელზედაც უიმედოთ და შეუბრალებლათ დაიმსხვრევა ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონერობა და მისი ცდა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათავე ისევ უკანვე დაიბრუნოს.

### შრომის ბეგარა.

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ამ უკანასკნელი დღეების ერთ-ერთ სხდომაზე შემდეგი დასაბუთებული დადგენილება გამოიტანა.

რკინის გზები ამ ჟამათ ძლიერ დიდ დაბრკოლებას ხვდებიან მთელი რიგი საერთო ხასიათის მიზეზებისაგამო, რასაც მჭიდრო კავშირი აქვს მიმდინარე მომენტთან. ამ დაბრკოლებებს ამ ზამთარში ისიც დაემატა, რომ ხშირათ ლიანდაგი თოვლის ზვავებისა და ავდრისაგან მოულოდნელათ სულ ერთიანათ ფუჭდება. კერძოთ ასეთი შემთხვევები ხშირია, მაგილითად პეტროგრადის რკინის გზათა შტოებზე, სადაც მძაფრი ამინდების გამო ლიანდაგი ხშირათ ფუჭდება და ამით სურსათის მოზიდვის საქმეც მეტათ ბრკოლდება; ამასთანავე მეტათ ძნელდება თვითონ ქალაქშიც საბარგო ავტომობილების მოძრაობა იმის გამო, რომ ხშირათ ქუჩები დიდი თოვლის ზვავებით ივსება და თავის დროზე არ იწმინდება, აი ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლათ პეტროგრადის მუშათა და სალდათთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: 1) პეტროგრადის რკინის გზის რაიონში ყველა მცხოვრებნი, ვინც კი რკინის გზის ლიანდაგიდან ათ ვერსზე მეტათ დაშორებული არაა. ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საკუთარი შრომით ხსენებულ ლიანდაგის თოვლის ზვავებისგან გაწმენდაში. 2) სხვა მახლობელ ადგილების საბჭოებს წინადადება ეძლევათ სარკინისგზო ორგანიზაციასთან შეთანხმებით გამოიწვიონ იმავე მიზნით მახლობელ სოფლებიდან და ქალაქებიდან მცხოვრები ჯგუფები, არტელების, რომლებიც გზების გაწმენდას შეასრულებენ და შრომისთვის ადგილობრივ პირობების შესაფერ სამუშაო ქირას მიიღებენ. 3) ასეთივე პირობით ვალდებულნი არიან გზის გასაწმენდათ გამოვიდნენ ჯარისკაცნი. ჯარის იმ ნაწილებიდან, რომლებიც გაფუჭებული გზების რაიონში ბინადრობენ.

### უ კ რ ა ი ნ ა შ ი.

უკრაინის სამრეწველო ცენტრიდან, ქ. ეკატერინოსლავიდან იუწყებიან, რომ საბჭოთა მთავრობა უკრაინაში დღითი დღე მაგრდება და ფეხს იკიდებს ქ. ეკატერინოსლავში. მაგ. ძალა-უფლება ერთიანათ საბჭოთა ხელშია, საჩქაროთ ამზადებენ პურს ჩრდილოეთისაკენ გასატანათ, ბალშევიკების გავლენა დღითი-დღე ფართოვდება და იზრდება.

### დონის მხარეში.

სამხედრო-რევოლიუციონური შტაბის ცნობით შენიშნულია, რომ დონის მხარეშიაც იზრდება ბალშევიკების გავლენა. დონის მხრის ჩრდილო ნაწილმა, უარი სთქვა 1903, 1903 და 1905 წლიანების მობილიზაციაზე. რაც კალედინის ბრძანებით ამ დღეებში უნდა მომხდარიყო. როგორც გადმოგვცემენ განხეთქილება ახლა შეძლებულ ყაზახთა შორის დაიბადა.

### მთავრობის ცირკულიარი.

ყველა საგუბერნიო საბჭოებს (სოვდეპებს) ეცნობათ, რომ სახელმწიფო პენსიების გაცემა თავის კანტროლს ქვეშ დააყენონ. ამ დროებით თვიურათ თვითეულ პენსიონერს ას მანეთზე მეტი არ მისცენ. ხოლო კონტრ-რევოლიუციონერ პენსიონერებს და საბოტაჟნიკებს სულ უარი უთხრან პენსიაზე.

შინაგან საქმეთა კომისარი
პეტროვსკი.

### დეკრეტი სამოქალაქო ქორწინებაზე.

სახალხო კომისარების საბჭოს მიერ გამოიცა დეკრეტი სამოქალაქო ქორწინებაზე, სადაც ნათქვამია, რომ ამიერიდან რუსეთის რესპუბლიკაში კანონიერათ აღიარებულია მხოლოთ სამოქალაქო ქორწინება.

სამოქალაქო ქორწინება შესრულებულ უნდა იქნას შემდეგი წესით: ის პირნი, რომელთაც სურთ დაქორწინდენ, სიტყვიერათ ან წერილობით განაცხადებენ თავის საცხოვრებელ ადგილების: ქალაქის, მაზრის, რაიონის ან სოფლის საერობო გამგეობის საქორწინო განყოფილებაში, თუ რამდენი წლისანი არიან და რა მდგომარეობის, რომ მათ დაქორწინება სურთ.

დაქორწინების განცხადება არ მიიღება იმ პირთაგან, რომელთაც ვაჟს 18 წელი, ქალს 16—ჯერ არ შესრულებიათ.

### ბანკებში მუშაობის განახლება

28 დეკემბრიდან ყველა ბანკებში თანდათან შეუდგენ სხვადა სხვა განყოფილებების გახსნას და მუშაობას. ამ ჟამათ არის მიმდინარე ანგარიშების გახსნა მორიგ კითხვათ დაყენებული.

---

### პროფესიონალური ცხოვრება.

7 იანვარს საოლქო სასამართლოს დარბაზში შესდგა საერთო კრება ქ. თბილისის სახელმწიფო დაწესებულებების უმცროს მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის.

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ბალშევიკების პარტიის წარმომადგენელმა ამხ. ლევან ღნიაშვილმა.

მომხსენებელის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია კამათის შემდგეგ ერთხმათ მიღებულ იქმნა, ხოლო ორმა თავი შეიკავა. რეზოლიუცია გულისხმობდა საბჭოების მთავრობისი ნდობას და ყველა მისი ზომების მიღების მხარის დაჭერაზე. შემდეგ კრებამ მეორეთ დაამტკიცა 3 არჩეული წინა სხდომაზე დელეგატი მუშათა საბჭოში. ეს ხელმეორე არჩევა და დამტკიცება გამოწვეული იყო იმით, რომ სამანდატო კომისიამ არ დაამტკიცა არჩეული დელეგატები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 172 კაცმა. არჩეულნი იქმნენ ბიჩიგინი, პანიფეროვი, და მანლევი, ყველა ბოლშევიკები.

მიუხედავათ იმისა, რომ 3—4 დღის წინ სამონდატო კომისიას გაეგზავნა ოფიციალური თხოვნ- გამოეგზავნათ კომიისიის წევრი არავინ გამოცხადდა,

კრების გახსნის შემდეგიც ტელეფონით შეატყობინეს კომისიას. მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა· ასეთი შეუწყნარებელი საქციელი სამონდატო კომისიის, კრებამ გაკითხა და ახსნა იმით, რომ ჩვენი მენშევიკები იქ სასურველ ნიადაგს ვერ პოულობენ, ცდილობენ როგორმე ჩაწიხლონ ეს არა სასურველი კავშირი.

კრებამ დაადგინა აგრეთვე გაკიცხოს სამანდატო კომისიის წევრის ხელაძის საქციელი, რომელიც წინა კრებაზე, 17 დეკემბერს, გაიქცა კრებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ ამოირჩიეს დელეგატათ.

კრებამ გადასწყვიტა მისცეს წინადადება სამანდატო კომისიას დაამტკიცოს 3 ხელმეორედ არჩეული დელეგატი, მიუხედავათ იმისა, რომ ეს ხელმეორე არჩევნები მოხდა კომისიის წევრის დაუსწრებლათ და ნუ გააჭიანურებს ამ საქმეს, რადგან საერთო კრებების მოწვევა ძალიან შეფერხებულია ტეხნიკურ მიზეზებისაგან.

შემდეგ კრება შეუდგა მიმდინარე საკითხების განხილვას.

---

### მუშების რეზოლიუცია.

9 იანვარს რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მუშებმა 1905 წლის 9 იანვრის მსხვერპლთა ხსოვნის პატივ საცემლათ გამართეს მიტინგი. მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ, თფილისის მთავარ სახელოსნოების მუშები ფიცსა ვსდებთ 9 იანვრის რევოლიუციაში ბრძოლის ველზე დაცემულთა წმინდა ნეშთის წინაშე, რომ მათ მიერ აღმართულ 1905 წლის რევოლიუციის წითელ დროშას ძირს არ დაუშვებთ და მუშათა კლასის საბოლოოთ განთავისუფლებას რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ ვეძსახურებით“.

---

### წერილი გურიიდან.

27 დეკემბერს აქ მენშევიკების ორგანიზაციამ მიიღო 5 ათასი ვინტოვკა ხალხის შესაიარაღებლათ. ამას გარდა 3 იანვარს აქედან გავიდნენ, 200 მდე ა რაღებული გურული თფილისელებთან შესაერთებლათ, სადაც, როგორც ამბობენ თვითონვე, წითელი რაზმი დგება. ამავე ნიადაგზე აქ დგება „ქართველთა სამხედრო კავშირის განყოფილება“, ამოირჩიეს უკვე გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: 4 მენშევიკი, 2 ფედერალისტი, 2 ნაციონალ-დემოკრატი, 2 ესერი, 6 სამხედრო პირ. ბალშევიკები არა, თუმცა ჩვენ ერთი ამხ. გვინდოდა გაგვეგზავნა ინფორმაციის გულისთვის, მაგრამ არ დაგვიშვეს.

მიზანი შეიარაღებისა ასე შეიძლია დაგისურათოთ: ამას წინათ მენშევიკებმა აქ ბალშევიკების საწინააღმდეგოსაპროტესტო მიტინგი მოაწყვეს, სადაც ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებულიყვნენ იარაღით, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოაწვდიდა. შიგნით ანარქია. რომელიც ბალშევიკების ავანტიურისტულმა მთავრობამ გამოიწვიაო: იჭერენ სოციალისტებს, ხურავენ უკანასკნელების გაზეთებს, გარეკეს დამფუძნებელი კრებაო და სხ. გარეთ, გატიტვლებული ფრონტი ბალშევიკების წყალობით, საიდგანაც თათრები და მათი ველური სხვადასხვა ტომები გვემუქრებიანო. ყველა ამისთვის უნდა შევიარაღდეთო: უნდა დავიცვათ წესრიგი, დარღვეული ბალშევიკებისაგან შექმნილ ანარქიისგანო, აგრეთვე გარეშე მტრებსაც უნდა გაუმკლავდეთო. საპროტესტო მიტინგები თითქმის ყველა გურიის სოფლებში მოაწყვეს. სადაც კი იყო ჩვენი ორგანიზაცია მოწყობილი, ჩვენი ამხანაგები გამოდიოდნენ. საერთოთ ჩვენ გურიაში ახლა ვიკიდებთ ფეხს და ჯერ-ჯერობით სუსტნი ვართ, ვერ ვუხდებით შესაფერათ. ამიტომ ერთი პროფესიონალი მომუშავე საჭიროა აუცილებლათ ოზურგეთის რაიონისათვის,—ეს ერთი მხრით; საჭიროა დრო გამოშვებით ლექციების მართვა—ეს მეორე მხრით. ამას გარდა, ჩვენი ორგანოები: „პრავდა“, „სოციალდემოკრატი“, ბროშიურები და წიგნები, ჩვენი მიმართულების სისტემატიურათ უნდა იგზავნებოდეს აქეთ. ხალხი დიდი ინტერესით კითხულობს ჩვენს ლიტერატურას. ჩვენმა საოლქო კომიტეტმა უნდა იცოდეს, რომ გურული მენშევიკები იარაღს იხამენ ჩვენს წინაალმდეგ.

სიფო.

---

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

დ. ს უ ჯ უ ნ ა (სენაკის მაზრა) 28 დეკემბერს 1917 წ. შესდგა დამფუძნებელი კრება დ. სუჯუნის ჯგუფის რ. ს. დ. მ. პ. ბალშევიკებისა. თავჯდომარეობდა ამხ. ა. ხოშტარია. ჯგუფი ჯერ ჯერობით შესდგება 30 კაცისაგან.

მოხსენება გააკეთა ამხ. პ. ხაბაშვილმა დღევანდელ მომენტზე, ამასთანავე იგი მოკლეთ შეეხო ბალშევიკ მენშევიკურ პროგრამასაც. კრება სიამოვნებით შეეგება ამხანაგის მოხსენებას და სავსებით გაიზიარა ბალშევიკების პროგრამა. შემდეგ ამისა, კრებამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი.

1. ადგილობრივი ბალშევიკების ორგანიზაციის მოწყობა.

2. გამოიწერონ გაზეთი „ბრძოლა.“

პირველი კითხვის შესახებ კრებამ ერთ ხმათ მიიღო—დაარსდეს ადგილობრივი ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ. ბალშევიკებისა, და ამოირჩია ხელმძღვანელი ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი. მეორე კითხვის შესახებ გადაწყდა-მიიღონ ყოველივე ზომები გაზეთ „ბრძოლა“ გამოიწერონ დაავრცელონ.

დასასრულ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში რუსეთის დიდ რევოლიუციას, ვალდებულათ ვთვლით თავის თავს, რომ ყოველივე ნდობა და დახმარება აღმოუჩინოთ რუსეთის რევოლიუციის ხელ მძღვანელ პროლეტარიატს, რომლისაგანაც არის შემდგარი სახალხო კომისარები, უძლევნით მას სალამს და უსურვებთ გამარჯვებას; მხოლოთ უცხადებთ უნდობლობას და პროტესტს ცრუ სოციალისტებს „მენშევიკ ობორონცებს,“ რადგან ისინი არიან მემამულე კაპიტალისტების ინტერესების გამომხატველი, რაც დაგვიმტკიცა ამ ათი თვის დიდებული რუსეთის რევოლიუციაში მემამულე კაპიტალისტებთან ერთათ მათ მიერ კოალიციონურ პოლიციკის წარმოებამ მუშების და გლეხების წინააღმდეგ.

ამავე დროს ვაპროტესტებთ დამფუძნებელ კრების არჩევნებზე, №1-ზე მიცემულ ჩვენს ხმას უერთებთ ჩვენს წმინდა გლეხურ ხმას ერთათ ერთ მშრომელთა ინტერესების დამცველ რ. ს. მ. პ. „ბალშევიკებისას“ და უსურვებთ გამარჯვებასა.

იმედი გვაქვს დ. სუჯუნის მშრომელი ხალხი მხარს დაუჭერს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს და ჩვენს ორგანიზაციაში ჩაეწერება, ვინაიდგან ის მათი ნამდვილი ინტერესების გამომხატველია. იმედია, მეზობელი სოფლებიც წაბაძავენ დ. სუჯუნის ჯგუფს, და დაარსებენ ასეთ ჯგუფებს.

ვ. ნ—ია.

---

გ უ რ ი ი ს - რ ა მ ე - რ უ მ ე. ოზურგეთში არსებობს კოპერატივი, ხელმძღვანელი კარგი ყავს, მხოლოთ რა მისი „ბრალია,“ თუ შიგ არაფერი არის. აქ არსებობს აგრეთვე „კოპერატორთა კავშირი“ მოსაასახურეები და გამგეობის წევრები მრავალი არიან, მხოლოდ საქმეს კი ნაკლებს ვხედავთ. თუ საქონელი მიიღეს ერთი ან ორი თვის შემდეგ იქნება აშველონ და გაანაწილონ.

—აქ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებები არის, მაგალითად ქალაქის თვითმართველობა, სასურსათო კომიტეტები, გლეხთა საბჭო, მუშათა კავშირი, კომისარიატი და სხვა. ყველა ამ დაწესებულებებში უმთავრესათ ერთი და იგივე პირები არიან, მაგალითად ქალაქის თავი არის აგრეთვე სხვა დაწესებულებების თავმჯდომარე და წევრი ასევე არის მისი თანაშემწე და ასე სხვებიც მკოხველი, იფიქრებს ენერგიული ხალხი ყოფილაო, ბოროტი ენები ამბობენ, სულ სხვას, აქაურ „ობოროიცებს" ეშინიათ „სხვა" ვინმე არ შემოეპაროთ ასეთ დაწესებულებებში. ჭეშმარიტათ, ჰკვიანი ხალხია.

— აქ არსებობს „ინტერპარტიული," კლუბი სახელათ, საქმით კი „ინტერპარტიულია". მწყობრათ შეიქცევიან 32 ფურცელს მენშევიკ-ესერ - ესფერ-ეროვნულ დემოკრატების წარმომადგენელნი. თავმჯდომარე რიგიანათ იცავს წესრიგს, მით რომ აქ არასოდეს არ არის.

—გასულ წლებში ქ. ოზურგეთში სამმა პიროვნებამ თეატრი გაუკეთეს ქალაქს და ხალხს დააყვედრეს თეატრი აგაშენოთო: ხალხმა თეატრის კურთხევისას მათ ავაციები გაუმართა, სიტყვებიც წარმოითქვა; გავიდა ხანი, დღეს ეს თეატრი უდაბნოს წარმოადგენს. გარეთ უფრო სითბოა, ვიდრე შიგ, მათი პატრონნი ყურს არ იბერტყავენ ალბათ მოზრდათ „ქანქარო" ან საზოგადოებამ ვერ სცა კარგი „პატივი" ყოველ შემთხ, საჭიროა ახალი „ავაციები" ეს კი კურთხეულ ოზურგეთში სულ ადვილია.

ხკვინჩა.

ქ. ლ ა ნ ჩ ხ უ თ ი. მიუხედავათ ყოველივე დაბრკოლებისა წმინდა პროლეტარული პარტია (ბოლშევიკების) იზრდება და ძლიერდება. ვითარდება უმეტეს ნაწილათ გლეხების ღარიბი ნაწილი, რომელიც დარწმუნდა მენშევიკური ტაქტიკის უვარგისობაში.

რუსეთის გლეხების და მუშების მთავრობასთან კავშირის შეწყვეტამ და ამიერ კავკასიის კოალიციონური მთავრობის შედგენამ მთლათ გაუტეხა ხალხს გული მენშევიკებზე. იმ დროს, როდესაც გლეხები და მუშები კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს სისხლში იწურებიან, ჩვენი მენშევიკები დახმარების მაგივრათ მათ (რუსეთის მუშებს და გლეხებს) და მათი ინტერესების გამომხატველ მთავრობას—ს. ხალხო კომისარების—ახელს უტეხენ თავისი არა სოციალისტურ ორგანოს „ერთობის" საშუალებით. მიუხედავათ ამისა, „ერთობის" ყველა ნომერზე აწერია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით". თავის თავათ ცხადია, რომ „ერთობას" არ სურს ცხოვრებაში გაატაროს ეს საქვეყნო ლოზუნგი. არამც თუ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს, ჩვენი მენშევიკები რუსეთის მუშებსაც კი არ უერთდებიან. ჩვენი ღარიბი გლეხობა სრულებითაც არ იზიარებს მენშევიკების აზრს რუსეთიდან გამოყოფის შესახებ. ასეთი გამოყოფა საფრთხეს უმზადებს ამიერ კავკასიას. ამ გამოყოფამ გამოიწვია რუსი ჯარისკაცების მიერ ფრონტის მიტოვება და სახლში წასვლა ყველა ამას კარგათ გრძნობენ სოფლის ღარიბი გლეხები. აი სწორეთ იმიტომ ისინი სტოვებენ მენშევიკების პარტიას და ეწერებიან წევრათ ჩვენ პარტიაში, დიდის ყურადღებით უთვალყურებენ აქაური ამხანაგები პოლიტიკურ მომენტს.

ამას წინეთ მოხდა საერთო კრება ჩვენი პარტიის წევრებისა, რომელმაც გაარჩია საკითხი მიმდინარე მომენტის შესახებ.

კრებამ ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ლანჩხუთის ჯგუფი ბოლშევიკებისა პროტესტს აცხადებს ამიერ-კავკასიის კოალიციონური მთავრობის წინააღმდეგ და მოუწოდებს ამხანაგებს არ დაემორჩილონ მის განკარგულებას, ვინაიდან ჩვენი სოციალისტური მოვალეობაა მხარი დაუჭიროთ რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას და არა ხალხის დაუკითხავათ შედგენილ მთავრობას, რომელიც ისახავს მიზნათ რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოს ასეთ პროტესტს უცხადებს კრება იმ პარტიების წარმომადგენლებს, რომლების განკარგულების წყალობით დაარბიეს ჩვენი გაზეთის „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქცია. ეს ჩაიდინა იმ პარტიებმა, რომლებიც წინააღმდეგია ბურჟუაზიული გაზეთების დახურვის რუსეთი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ვერავითარი დამფუძნებელი კრება ვერ მისცემს ხალხს შეღავათს ცხოვრებაში, თუ ძალა-უფლება არ გადავიდა გლეხების და მუშების ხელში, რომელნიც შესძლებენ რევოლიუციის დაცვას და ღარიბი ხალხის ინტერესების გაუმჯობესებას.

გაუმარჯოს ძალა-უფლებას საბჭოების ხელში!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ვ. ცინცაძე.

## პასუხი ნ. ჯიხაიშელს.

„ალიონის" №66-ში მოთავსებულია ნ. ჯიხაიშელის წერილი, სადაც ის ეხება მუშათა დეპუტატების არჩევნების გარშემო ჩვენი ამხანაგების, ბოლშევიკების, მოქმედებას და ამბობს: „ვინც ჩვენ ბოლშევიკებს იცნობს, მისთვის ცხადი იქნება, თუ რა საშვალებას მიმართავდენ ბოლშევიკები, რომ მენშევიკები გაეშავებიათო." ამავე დროს დასძენს, რომ ბოლშევიკები მენშევიკების გასაშავებლათ არავითარ პროვოკაციას არ ერიდებოდენო. ცნობილია, რომ როდესაც ადამიანი ბრმა ტენდენციებითაა შეპყრობილი, ისეთ რამეს გაბედავს და დასწერს, სადაც თვითონ დაიმსხვრევა.

აბა ვნახოთ; ჯიხაიშელის მიერ, მკვეხარა ქოთანივით თავის პარტიის ქება თუ მენშევიკების ჩვეულებრივი ტყუილი არ გამოდგეს. როდესაც მოახლოვდა მუშათა საბჭოს არჩევნები, ჩვენმა პარტიულმა კრებამ გადასწყვიტა, რომ უკმაყოფილება არ გამოეწვია ავათმყოფ ჯარისკაცებში, მენშევიკების მოღვაწეობის შესაფერისათ დაფასებას საარჩევნო კომპანიის დროს, მოგვეთხოვა პროპორციის და მიხედვით 3 ადგილი. რომ ჩვენ მეტი არ მოგვითხოვია, ეს არჩევნების შედეგმაც დაამტკიცა.

ამ ნიადაგზე მოსალაპარაკებლათ ავირჩიეთ ორი კაცი: ამხ. მიხა სოხაძე და ვასო არეშიძე. მენშევიკებმა აქაც დიპლომატიური ხრიკები გამოიჩინეს. იმის მაგივრათ, რომ ჩვენი ამხანაგებისათვის დროზე ეცნობებიათ მათი აზრი ჩვენ მოთხოვნილებაზე, საქმე განგებ გააჭიანურეს. ჯერ მივიდენ ყველა დარგებში მალულათ ღამ ღამობით კრებები მოაწყვეს და ჩვეულებრივი დემაგოგიით გააცნეს თავისი თავი და პარტია ჩაგრულთა ინტერესების დამცველათ. შემდეგ, როდესაც თავიანთი საქმე კარგათ მოაწყვეს, არჩევნების წინა დღის შუადღის თორმეტს საათზე ამხ. იასონ ჯორბენაძის იმერ უკანასკნელ კატეგორიულ მოთხოვნაზე, რატომ არავითარ ცნობებს არ გვაძლევთო, უარით გვიპასუხეს. ამრიგათ, ჩვენ დროს სიცოტავის გამო საშვალება მოგვესპეს გაგვეცნო ამხ. მუშებისთვის ჩვენი შეხედულება.

ეს იმ დროს, როდესაც მათ უკვე ყველა ფერი მზათ ქონდათ, ჩვენი ამხანაგები მაინც შეეცადენ, თუმცა დრო ცოტა გვქონდა, გაეცნო ჩვენი შეხედულება მუშა მოსამსახურეებისათვის. მაგრამ, მათ გვითხრეს, რომ ჩვენ უკვე გვარჩევიეს ხალხი, ჩვენ ხმას მენშევიკებს ვაძლევთო. შემდეგ მოხდა საერთო კრება, სადაც ვფიქრობდით, აქ მაინც შევძლებთ ჩვენი შეხედულობის მუშებისთვის გაცნობასო. რასაკვირველია, მათ იქაც დიდი გაიძვერობა გამოიჩინეს. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოინდომეს არსენიძისათვის მეორეჯერ მიეცათ სიტყვა, და ამიტომ ის მომხსენებელის როლში გამოიყვანეს; ჩვენ ამხანაგებს სიტყვით ნებას არ აძლევდენ. მართალია, არსენიძემ მოიჯერა გული ბოლშევიკების ლანძღვით და კიდეც დაიკვეხა: დროებითი ზავის ჩამოგდება მენშევიკების და კავკასიის კომისარიატის საქმეაო, (რაზედაც მას კრებამ დაცინვით უპასუხა) მაგრამ ამხ. კამალოვმა მშვენიერათ დაათფასა მომენტის და ზავის საკითხები, რამაც მენშევიკებს და მათ მკვეხარა ორატორს ნიღაბი ახადა და მოსამსახურეების სიმპატია დაიმსახურა.

ამის შემდეგ მენშევიკებმა კიდევ შეეცადენ ჩვენთვის სიტყვის შეწყვეტით და არსენიძის უკანასკნელი სიტყვის მიცემით თავისი გაეტანათ. მაგრამ კრებამ მოითხოვა: თუ არსენიძე ილაპარაკებდა, მოწინააღმდეგესაც ელაპარაკნა. რის შემდეგ არსენიძემ არ ისურვა ლაპარაკი.—ეხლა განვიხილოთ ჯიხაიშელის მიერ ნაჩვენები პროვოკაცია: სად არის ფაქტი და ან ვინ არის ამ უკანასკნელის ჩამდენი- მენშევიკები თუ სხვა ვინმე! როდესაც ით დაინახეს, რომ ხუთი ნომერი ბლომათ მიდიოდა ყუთში, ასტეხეს მუშტი-კრივი, და ურნაც კინაღამ დაამტვრიეს. ის ვინ იყო, მეხუთე ნომერს რომ გლეჯდენ და პირველს აძლევდენ? ის ვისი ბელადი იყო, საარჩევნო ოთახში ჩხუბი კომისიის წევრს აუტეხა? რაც შეეხება კანდიდატებს, ყველა დარგიდან გვყავდა არჩეული, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ყოფილა ისე ღირსება- შელახულიო გორც მენშევიკების ზოგი კანდიდატები. რასაკვირველია ეს ჯიხაიშელმაც კარგად იცის, მაგრამ ამაზე სიჩუმე ამჯობინა. ამას შემდეგ მათ კიდევ შესწევთ გამბედაობა ჩვენზე სწერონ?

—შინაური—

## ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ ი

ვიღებ რა მხედველობაში იმას, რომ ჩვენი პარტიული გაზეთები შეადგენენ ჩვენ სულიერს საზრდოს; რომ ჩვენს პარტიას უდიდესი მოვალეობა აწევს დღეს კისრათ—მან უნდა დაიცვას მშრომელი ხალხი შინაურ და გარეშე მტრებისგან; რომ მტერთან ბრძოლა აფხიზლებს მუშა კლასს და ის მუდამ ფხიზლათ უნდა ადევნებდეს თვალ-ყურს თავისი მოწინააღმდეგეების მოქმედებას, —ეს კი შეიძლება მხოლოთ მუშათა პრესის საშუალებით; ამიტომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა აღმოუჩინოს დახმარება ჩვენს გაზეთებს, რომ ამნაირათ გაუადვილოთ მათ არსებობა და დავაყენოთ საფუძვლიან ნიადაგზე. ხშირათ ყველა ჩვენგანი დახარჯავს უბრალოთ ისეთ რამეზე, რაც არც სულს და არც ხორცს წაადგება. ჩემის მხრით ვიხდი ჩემს მოვალეობას და ვსწირავ ერთი დღის ნამუშევარს ათ მანეთს. შემდეგ თვეშიაც გადავიხდი ჩემს ნაწილს.

ნახალოვკაში გაზეთის გამყიდველი
იპოლიტე ცქვიტინიძე.

## კრებები და მიტინგები.

### დურგლების კრება.

კვირას, 14 იანვარს, დილის 10 საათზე მესამე სავაჟო გიმნაზიაში (ველიამინოვის ქუჩა № 11) დანიშნულია ტფილისის დურგალთა (საამშენებლო) პროფესიონალური კავშირის წევრთა **საზოგადო კრება.**

დღის წესრიგი:

1. სარევიზიო კომისიის მოხსენება შემოსავალ-გასავალზე და კავშირის საქმის მსვლელობაზე.
2. ახალი გამგეობის და კამერის არჩევა.
3. მუშათა საბჭოს დეპუტატების არჩევა.
4. პურის ბარათების კრებაზე დარიგება.

## განცხადება.

რ. ს.-დ. მ. პ. მეუმრავლესეთა (ბოლშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან საღამოს 6 საათამდე ჯაბა მამულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.

კანტორა პროფესიონალურ კავშირისა „პროლეტარების სემსის" ღიაა დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე საღამოობით — 6 სათ. 9 საათამდე, ადრესი: პეტრე დიდის ქუჩა № 18 პროფ. კავშირთა სადგომი, ოთახი

კვირას, 14 იანვარს დილის 11 საათზე ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა № 1) ბოლშევიკების მესამე რაიონის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. გამართავს გაზეთ „კ. რაბ." ფონდის სასარგებლოთ

### ლექცია—კონცერტს.

1. ლექცია ამხ. ქავთარაძისა: „წარსულის გაკვეთილები და მომავლის პერსპექტივები".
2. სპექტაკლი (სომხურ ენაზე).
3. დივერტისმენტი ბოგდანოვის, აგოიანის, ტაგინიძის და სხ. მონაწილეობით.

ფასები: 50 კ—3 მანეთამდე. შესასვლელი ბილეთები იყიდება „კავკ. რაბ." კანტორაში და მესამე რაიონის კოლექტივის ბიუროში.

მშრომელ ქალთა კავშირი მართავს საზოგადო კრებას კვირას, 14 იანვარს, ნაშუადღევის 2 საათზე ავჭალის აუდიტორიაში; იქვე მიიღება წევრთა ჩაწერა ახლათ მოწყობილ კავშირში პურის საცხობის გასამართავათ; აგრეთვე მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ „წერა-კითხვის ჯგუფში".

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს კრებას დაესწრონ.

სტამბა „ქართლი" ლორის-მელიქ. ქუჩა.